

ვებგვერდი, 19/04/2012
სარეგისტრაციო კოდი
190040000.22.033.016347

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №112
2012 წლის 11 აპრილი ქ. თბილისი

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების
დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის, მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები თანდართული რედაქციით (დანართი №1, №2, №3, №4).

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადების მიზნით მხარჯავმა დაწესებულებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის ვადაში, დანართი №2-ის შესაბამისად, ხოლო წლიური შესრულების ანგარიში – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, დანართი №1, №3-ის და №4-ის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის №340 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დ. გვინდაძე

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 320303
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ერთიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო სივრცის ფორმირება, განათლების სექტორში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების გზით.

1 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მისი სამსახურებისა და სტრუქტურების ერთიანი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სარეზერვო მონაცემთა ცენტრის შექმნა, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის, ასევე მხარდაჭერისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა, მათ შორის - საჯარო სკოლის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. დამატებითი უსაფრთხოების სისტემების დანერგვა.

2 სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მართვის საინფორმაციო სისტემების დანერგვა და განვითარება: *eSchools*, *eVet*, *eUniversity* – სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ზუსტი მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ონლაინ რეჟიმში განახლება და ანგარიშგება; *eGIS* - ელექტრონულ რუკაზე დატანილი ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა; *eFlow*- დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელიც იძლევა ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესების საშუალებას.

3 *eRegistry* - ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული რეესტრის წარმოება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის უფლებამოსილების და უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაციის ელექტრონულ რეესტრს; ასევე *eCertificate* - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (ატესტატების) ელექტრონული რეესტრის წარმოების სისტემის დანერგვა, რომელიც გულისხმობს სრულყოფილი ელექტრონული ბაზის საფუძველზე შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასა და მიწოდებას;

4 პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის წარმართვა;

5 საჯარო სკოლის დირექტორების სერთიფიცირების ორგანიზება; სხვადასხვა ჯგუფებისათვის ელექტრონული გამოცდებისა და ტესტირებების უზრუნველყოფა, მათ შორის:

სკოლის დამამთავრებელი CAT- ის და XI-XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძღვევის გამოცდების, ასევე VI- IX კლასის მოსწავლეთათვის ელექტრონული ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა.

6 პროფესიული სამანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროგრამების სწავლების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

7 ტრენინგების გამართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისათვის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებული/დანერგული პროგრამებისა და სისტემების თაობაზე;

8 სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე მორგებული ელექტრონული საგანმანათლებლო ინტერაქტიული თამაშების შემუშავების ორგანიზება;

9 *eLearning* - სასწავლო - საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის სისტემის დანერგვა; პორტალების, მათ შორის ეროვნული სასწავლო გეგმის ინტერაქტიული ვებპორტალისა და სხვადასხვა დანიშნულების სისტემების განვითარება;

10 საგანმანათლებლო რესურსცენტრების და საჯარო სკოლების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 320303

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
320303	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასაინფორმაციო სისტემა	<u>7540.0</u>	7358.2	<u>7.351,2</u>	99.9	4438.5

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

1. განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიზნით, დაინერგა უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები (Web/Content Filter, Application Firewall, IPS/IDS, AntiBot); განახლდა ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის ტოპოლოგია; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში დაინერგა ცენტრალიზირებული უსადენო ინტერნეტი; გაუმჯობესდა ინტერნეტის სიჩქარე საქართველოს საჯარო სკოლებში; მიმდინარეობს მუშაობა თბილისის სკოლებში უსადენო ინტერნეტისა და საკლასო ოთახებში/კლას-კაბინეტებში ლოკალური ქსელის მოწყობის კონცეფციის შემუშავებაზე, წარმატებით განხორციელდა პროგრამის პილოტირების პროექტი სსიპ ქალაქ თბილისის #123 საჯარო სკოლასა და თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში; განხორციელდა VoIP სერვერების ვირტუალიზაცია და პროვაიდერებთან sip ტექნოლოგიით ჩართვა, დაინერგა ასევე ახალი ბილინგის სისტემა; მომხმარებელთა ფოსტის მოცულობის გაზრდისა და საფოსტო სერვისის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების ელექტრონული საფოსტო ყუთების Exchange მეილ სერვერზე გადატანა; განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მართვის სისტემამ უზრუნველყო სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის სპეციფიკაციის განსაზღვრა და საჭიროების შესაბამისად პროცესში ჩართული სუბიექტების კონსულტირება (ბუკი, კომპიუტერი წარჩინებულ მოსწავლეთათვის და ა.შ.); გრძელდება ზოგად განათლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა.
2. გაგრძელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარების პროცესი - სისტემას დაემატა ახალი მოდულები, რომელთა საშუალებით წარმატებით განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციისათვის სკოლებიდან ლიმიტების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება, სკოლებისათვის გადაცემული ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მოქმედ მასწავლებელთა განაწილების უზრუნველსაყოფად მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილებსა და განათლების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება, ასევე, შეფასების მიზნით, 2011-2014 წლებში ძველ სქემაში ჩართული მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ორგანიზება და სხვა.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში შეიქმნა მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სქემაში განაწილებული მასწავლებლები უზრუნველყოფენ საკუთარი

პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას; აღნიშნული სისტემის მეშვეობით წარმატებით განხორციელდა მოქმედ მასწავლებელთა სქემაში რეგისტრაცია და მათთვის სქემით გათვალისწინებული სტატუსების მინიჭება; ასევე, აღნიშნული სისტემის საშუალებით განხორციელეს სქემაში განაწილებულმა მასწავლებლებმა თვითშეფასების კითხვარის შევსება საკუთარი საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით.

განათლების სისტემაში, ავტომატიზირებული საქმისწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მართვის სისტემამ განხორციელა დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ბეიტრიშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ჩართვა.

მართვის სისტემამ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის უზრუნველყო სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის (eJournal) შემუშავება/დანერგვა. ასევე, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) პროგრამული ნაწილის სრულყოფა, რაც გულისხმობს ახალი, „დაფინანსების მოდულის“ შემუშავებას, ტესტირებისა და დანერგვას. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული, ახალი პოფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების ღირებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აღჭურვილობის დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა შესაბამისი ელექტრონული მოდულების შემუშავება და პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUniversity) პლატფორმის შემუშავება. მართვის სისტემამ განხორციელა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მობილობისათვის საჭირო შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, სისტემის ტესტირება და მობილობის პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

3. „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ 2015 წლის პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროგრამის ბენეფიციარების პროგნოზი, განხორციელდა სკოლებში არსებული ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანის პროცესის ხელშეწყობა, ახალი 2015-2016 სასწავლო წლისათვის შეფასდა საჭირო და შესასყიდი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობები; მომზადდა შესაბამისი მონაცემები სკოლების ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისათვის, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა დანამატის ოდენობის

განსაზღვრისათვის, დაზღვევის პროგრამის ბენეფიციართა (ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები) რეესტრისათვის. ასევე, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედების შემდგომ, მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისი დანამატის განსაზღვრის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოების გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სკოლის დირექტორის/მოვალეობის შემსრულებლების, სამეურვეო საბჭოს წევრების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სსიპ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის რეესტრაციისათვის შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციების მოდიფიცირება;

მართვის სისტემამ უზრუნველყო სრული ან/და საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება, რომლის საფუძველზეც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემას.

4. განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეესტრაციის სისტემის/რესურსების მოდიფიცირება და მისი ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო 2015-2016 სასწავლო წლისათვის პირველკლასელთა ელექტრონული რეესტრაცია, პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა, სკოლებში დარჩენილი თვისუფალი ადგილების/ლიმიტების კონტროლი და დარეესტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი.

5. მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველ მოსწავლეთათვის ცენტრალიზებული ელექტრონული გამოცდების ორგანიზება, სკოლის საატესტატო გამოსაშვები გამოცდების (CAT), VI-IX კლასის და მილენიუმის პროექტის ფარგლებში VIII-X კლასების მოსწავლეებისათვის ორგანიზებული ელექტრონული გამოცდების, მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების ოლიმპიადისა და პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ელექტრონული ტესტირების პროცესის ორგანიზება და ტექნიკური მხარდაჭერა. მართვის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა ასევე, ადგილობრივი თვითმართველობების შესარჩევი კონკურსები და მოსწავლეთა ონლაინ წიგნიერების (ePirls) საერთაშორისო კვლევის პროცესი.

6. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ჩატარდა სხვა კოლეჯების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ტრენინგი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსლების ადმინისტრატორი“, სადაც მასწავლებლებს სატრენინგო მასალასთან ერთდ დაურიგდა შესაბამისი მოდულის სასწავლო მასალა. მასწავლებლები აქტიურად ჩართულნი არიან მოდულის სახელმძღვანელოების შექმნაში (ვებ ინტერფეისი დეველოპერი და საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი). ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში განხორციელდა ადმინისტრაციის და მასწავლებლების ვიზიტი პარტნიორ კოლეჯის 100 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე და საერთაშორისო კონფერენციაზე. მიმდინარეობს შეთანხმება cisco-ს ადმინისტრაციისთან ხელშეკრულების განახლებასა და ახალი პროდუქტების დანერგვის შესახებ. კოლეჯის ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავების საკითხებში.

კოლეჯმა საგნობრივ პროგრამებთან ერთად 2015 წლის საშემოდგომი მიღებისთვის დაიწყო მოდულარული სასწავლო პროგრამების განხორციელება, კერძოდ: ვებ ინტერფეისი დეველოპერი, საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი.

2014 წლის საშემოდგომო მიღების კონტიგენტიდან, თეორიული და სასწავლო პრაქტიკის კურსი წარმატებით დაასრულა 88 პროფესიულმა სტუდენტმა და მიენიჭათ შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. განაგრძობს სწავლას 2015 წლის საგაზაფხულო მიღების კონტიგენტიდან 94 და 2015 წლის საშემოდგომო მიღების კონტიგენტიდან 140 პროფესიული სტუდენტი. მიმდინარე ეტაპზე არასბიუჯეტო მოკლევადიანი გადამზადების პროგრამებზე სწავლობს 36 მსმენელი.

7. მართვის სისტემამ უზრუნველყო:

სამინისტროს მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, **საჯარო სკოლების დირექტორებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების**

წარმომადგენელთათვის, მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის გაცნობა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) დანერგვის ფარგლებში, სისტემის ფუნქციონალისა და გამოყენების წესების სწავლების მიზნით თემატური ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენელთათვის.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის და მასწავლებელთათვის სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული

სისტემის ფუნქციონალისა და გამოყენების წესების სწავლების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის ფარგლებში, რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონალის გაცნობისა და სწავლების მიზნით, ტრენინგების ორგანიზება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთათვის.

8 „ბუკებისათვის“ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე მორგებული ელექტრონული საგანმანათლებლო ინტერაქტიული თამაშებისა და პროგრამებისაგან შემდგარი საინსტალაციო პაკეტის შემუშავება;

9 ჰორიზონტი 2020 - ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამისათვის ვებგვერდის შექმნა და მისი ტექნიკური მხარდაჭერა.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, UNDP-ის პროექტის ფარგლებში „განათლების ხარისხის და ელექტრონული მმართველობა“, უზრუნველყო განათლების ხარისხის მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება.

10 საგანმანათლებლო რესურსცენტრების და საჯარო სკოლების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში განხორციელდა თბილისის სკოლებისათვის სატელეფონო აპარატურის შერჩევის პროცესი.

მოსალოდნელი, საბოლოო შედეგი:

1. საკომუნიკაციო კავშირის ხარისხის გაუმჯობესება, ინფორმაციის შეუზღუდავად და უსაფრთხოდ გაცვლა, ქსელური ხარვეზების ოპერატიული აღმოფხვრისა და დისტანციური მართვის სისტემის სრულყოფა;
2. სკოლების და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროცესების მენეჯმენტის გაუმჯობესება;
3. სასწავლო დაწესებულებების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის შექმნა, მონაცემთა ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა;
4. პირველკლასელთა On-line რეგისტრაცია ნებისმიერი ადგილიდან, მონაცემთა ავტომატიზაცია, რეგისტრაციის პროცესში სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება;

5. საგამოცდო პროცესების მაღალ დონეზე ჩასატარებლად სრული ტექნიკური, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
6. პროფესიული სასწავლო პროცესის დახვეწა, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
7. Emis-ის მიერ შემუშავებული ელექტრონული პროდუქტების წარმატებით დანერგვა; ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესება;
8. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სკოლის სასწავლო პროცესში, როგორც ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავების ეფექტური ინსტრუმენტის;
9. საინფორმაციო, სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დანიშნულების რესურსებთან ოპერატიული წვდომისა და საჭირო ინფორმაციის მოხერხებული ძიების უზრუნველყოფა;
10. კომუნიკაციის გაადვილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამსახურებისა და სტრუქტურების ერთიანი სისტემის ფარგლებში.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. ქსელში ჩართულთა რაოდენობა, ქსელის ფუნქციონირების ინდიკატორები, ინტერნეტ კავშირის ხარისხობრივი მაჩვენებლები; გამართული IT ინფრასტრუქტურა სკოლებში.
2. სასწავლებელთა რაოდენობა, სადაც წარმატებით დაინერგა მართვის საინფორმაციო სისტემები. დაინტერესებულ მხარეთა (სკოლა, მშობელი) გამოკითხვის შედეგები;
3. რეესტრის მონაცემთა გამოყენების მაჩვენებელი (არეალი), ბაზებთან ოპერირების შესაძლებლობის მახასიათებლები;
4. ელექტრონული რეგისტრაციის შედეგები, ხარვეზების მაჩვენებლები;
5. ჩატარებული გამოცდების, ტესტების, მონაწილეთა რაოდენობა; ხარვეზების მაჩვენებლები;
6. მიწოდებული სასწავლო პროცესების შედეგების მაჩვენებლები;
7. ტრენინგების შედეგების მაჩვენებლები;
8. დანერგილი ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამები;
9. მიწოდებული პროდუქტებისა და მათი მოხმარების მაჩვენებლები.
10. სკოლების რაოდენობა, სადაც დაინერგა Voip ტელეფონი.

მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 320303

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
320303	მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნებები	7540.0	7358.2	7351.2	97.6	99.9		
	პროგრამა №1							
	პროგრამა №2							
	პროგრამა №3							

ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება	საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა)	საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	შემდგომი წლების პროგნოზი	საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულების ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
	პროექტი №1	228.0	0	187.8	186.9	2268.0	3.1	70.0
	ქვეპროექტი							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №2							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	პროექტი №...							
	ქვეპროექტი №1							
	ქვეპროექტი №2							
	ქვეპროექტი №...							
	სულ კაპიტალური ბიუჯეტი							

პროექტი №1 ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა სისტემის საჭიროებისათვის 6 ცალი კონდიციონერი, 10 ცალი მონიტორი, 5 ცალი პრინტერი, ლეპტოპი 7 ცალი, 5 ცალი კომპიუტერის სამუშაო სადგური და ცანაცვლების გზით მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა Suzuki S Cross.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჟესტური ენის პედაგოგის ხელფასი - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (3202050109)

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
(3202050109)	ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	1,2	8.5	0.82	7.0	0,67